საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ერთობლივი

ბრძანება №2/ნ–№5

2011 წლის 5 იანვარი

ქ. თბილისი

ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის „რ" ქვეპუნქტის, „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებთ:**

1. დამტკიცდეს:

ა) „ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან" (დანართი 1);

ბ) „ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან (დანართი 2).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტებისა და ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხის დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 31 მარტის №125/ნ-№207 ერთობლივი ბრძანება.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2011 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **დ. ლომიძე**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **პ. პეტრიაშვილი**

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 აგვისტოს ერთობლივი ბრძანება №01-56/ნ-№342 - ვებგვერდი, 23.08.2012წ.

დანართი №1

ჩვილ ბავშვთა კვების პროდუქტების ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება
0402 29 110 00	ა) დედის რძის ჩამნაცვლებელი ადაპტირებული ნარევები; ბ) რძე და რძის პროდუქტები.
0403	მაწონი, იოგურტი, კეფირი, ფერმენტირებული ან შედედებული რძე და ნაღები
1602 10 001 00	ცხოველების, ფრინველების და თევზის ხორცის შემცველი პროდუქტები
1901 10 000 00	ბავშვთა კვება, საცალო ვაჭრობისათვის დაფასოებული
1905	ნამცხვარი და ორცხობილა
2005 10 001 00	ხილის, ბოსტნეულის და მარცვლეულის შემცველი ნარევები
2007 10 101 00	ჯემი, ხილის ჟელე, მარმელადები, ხილის ან კაკლის პიურე, ხილის ან კაკლის პასტა, თბური დამუშავებით მიღებული, მათ შორის, შაქრის ან სხვა დამატკბობელი ნივთიერებების დამატებით
2007 10 911 00	ბავშვთა კვებისათვის
2007 10 991 00	ბავშვთა კვებისათვის
2009	წვენები
2101 20 920 00	ჩაი
0811 0909 1211 2106	„მცენარეული ჩაი"
2104 20 001 00	მზა წვნიანები და ბულიონები და ნამზადები მათ მოსამზადებლად; ჰომოგენიზებული შედგენილი მზა საკვები პროდუქტები
3004 90 990 00	ნაყენები

შენიშვნა:

1. ნუსხაში შემავალი საქონელი წარმოადგენს 12 თვემდე ასაკის ბავშვთა (ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტებს, რომლებიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად. ტერმინი „მარკირებულია ასეთად“ ნიშნავს, რომ მარკირების მიხედვით საქონლის გამოყენების მინიმალური ასაკობრივი ზღვარი ნაკლებია 12 თვეზე.
2. დღგ-ის გადასახადისაგან თავისუფლდება ნუსხით წარმოდგენილი, სეს ესნ თერთმეტნიშნა ქვესუბპოზიციის, ასევე 0811, 0909, 1211, 2106 სასაქონლო პოზიციებში შემავალი მცენარეული ჩაის, 0403, 1905 და 2009 სასაქონლო პოზიციებში შემავალი საქონლის - 12 თვემდე ასაკის ბავშვთა (ჩვილ ბავშვთა) კვების პროდუქტების, მიწოდება ან/და იმპორტი, რომელიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად.

დანართი №2

ბავშვთა ჰიგიენის ნაწარმის ნუსხა, რომელთა მიწოდება ან/და იმპორტი გათავისუფლებულია დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან

სეს ესნ კოდი	საქონლის დასახელება
3304 91 000 00	პუდრი
3304 99 000 00	ტალკი, ზეთი, კრემი და კანის მოვლის სხვა საშუალებები.
3305 10 000 00	შამპუნი
3306 10 000 00	კბილის საწმენდი საშუალება
3306 90 000 00	პირის ღრუს ჰიგიენის დანარჩენი საშუალებები
3307 30 000 00	არომატიზებული მარილები და სხვა შედგენილობები აბაზანების მისაღებად
3401 11 000 00	საპონი
3401 19 000 00	სახის, ხელების, ტანის გასაწმენდი ტენიანი ხელსახოცები
3401 20 900 00	დანარჩენი
3922 20 000 00	უნიტაზის დასაჯდომი საშუალებები
3923 30 109 00	ბოთლი პლასტმასის
3923 50 100 00	ბოთლის ქობა
3923 90 100 00	მილისებრი ფორმის ექსტრუდირებული ბადე
3924 10 000 00	ჭურჭელი პლასტმასის
3924 90 900 00	ჰიგიენის საკუთნოები პლასტმასის (მათ შორის, საწოვარები სილიკონის და ღამის ქოთანი)
3926 20 000 00	წინსაფრები პლასტმასის
3926 90 980 00	სატყუარები, სატყუარას საკიდები, საღრღნელები (ღრძილების გასამაგრებელი და გასაგრილებელი საღეჭები) და ასპირატორები პლასტმასის (მათ შორის, სილიკონის)
4014 90 100 00	საწოვარა და სატყუარა რეზინის (მათ შორის, ლატექსის)
4014 90 900 00	ასპირატორი
4818 50 000 00	წინსაფრები ქაღალდის
5601 21 900 00	ბამბის ჩხირები
7017 10 000 00	ბოთლი შუშის
7017 20 000 00	დანარჩენი მინისაგან, ხაზოვანი გაფართოების კოეფიციენტით არა უმეტეს 5 x 10-6-საKK-ზე 0°C-დან 300°C-მდე ტემპერატურის ინტერვალში
7017 90 000 00	დანარჩენი
8213 00 000 00	მაკრატელი ჩვილი ბავშვებისათვის
9603 21 000 00	კბილის ჯაგრისები
9603 29 300 00	თმის ჯაგრისები
9615 11 000 00	სავარცხელი
9615 19 000 00	დანარჩენი
9615 90 000 00	დანარჩენი
9617 00 110 00	რძისა და სხვა საკვების შესანახი კონტეინერი (თერმოსები)
9619 00 000 00	ბავშვის სახვევები და ამოსაფენები და ანალოგიური ნაწარმი, ნებისმიერი მასალისაგან

შენიშვნა:
1. ნუსხაში შემავალი საქონელი წარმოადგენს ჰიგიენის ნაწარმს 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთათვის, რომელიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად. ტერმინი „მარკირებულია ასეთად“ ნიშნავს, რომ მარკირების მიხედვით საქონლის გამოყენების მინიმალური ასაკობრივი ზღვარი ნაკლებია 3 წელზე.
2. დღგ-ის გადასახადისაგან თავისუფლდება ნუსხით წარმოდგენილი, სეს ესნ თერთმეტნიშნა ქვესუბპოზიციის საქონლის – 0-დან 3 წლამდე ასაკის ბავშვთათვის განკუთვნილი ჰიგიენის ნაწარმის მიწოდება ან/და იმპორტი, რომელიც საბითუმო და საცალო წესით მიწოდებისას მარკირებულია ასეთად.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 21 აგვისტოს ერთობლივი ბრძანება №01-56/ნ-№342 - ვებგვერდი, 23.08.2012წ.